მასწავლებელთა თვითშეფასებისა და მოტივაციის კავშირი მოსწავლის მიზანსწრაფულ სასწავლო დამოკიდებულებასთან

ნათია ალბორიშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

02.06.2023

აბსტრაქტი

მოსწავლეთა მიზანსწრაფული სასწავლო დამოკიდებულება საქართველოს დღევანდელი განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. განათლების სფერო მუდმივ ცვლილებებისა და რეფორმების გატარების პროცესშია, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ ვერ ხერხდება განათლების ხარისხის სათანადოდ გაუმჯობესება. განათლების სისტემის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ მასწავლებლები, რომელთა განვითარებისა და კომპეტენციის ზრდის მიზნით არაერთი რეფორმა მიმდინარეობს. საინტერსოა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო კვლევები მიუთითებს სწორედ მასწავლებელთა მოტივაციის მნიშვნელობასა და მათი თვითშეფასების როლზე/მნიშვნელობაზე მოსწავლეთა მოტივაციური სასწავლო დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კვლევების თანახმად, ქართველი მასწავლებლების თვითშეფასება საკმაოდ მაღალია. ამ შემთხვევაში, ჩემი მიზანია ვიკვლიო მასწავლებლების ხედვა მოსწავლეთა მიზანსწრაფული სასწავლო დამოკიდებულებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ფაქტორებისა და მათი იმ პირობების შესახებ, რომლებიც მიზანსწრაფული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა მიზანსწრაფულ სასწავლო დამოკიდებულებაზე და ეს ყოველივე კი, გაერთიანდა ოთხ ძირითად თემაში: მასწავლებლის მოტივაცია, მასწავლებლის თვითშეფასება, თანამედროვე სწავლების მეთოდები და გარემო ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: მიზანსწრაფული სასწავლო დამოკიდებულება, მასწავლებელთა მოტივაცია, მასწავლებელთა თვითშეფასება.

Abstract

The goal-orientation attitude of students in schools is an important challenge for today's Georgian education system, the field of education is in the process of constant changes and reforms, but, unfortunately, the quality of education in Georgia is not sufficient according to the different international studies. As teachers represent one of the main parts of the educational system, and many reforms are underway to develop and improve their competence, my goal was to identify the main factors influencing the learning motivation of students. It is interesting that various international studies discuss the importance of teachers' motivation and their self-esteem practices as one of the important factors in the motivational learning process. So, my aim was to find more about Georgian reality as acording to international studies, the self-esteem of Georgian teachers is quite high. To study the real environment and objective situation among Georgian teachers including their opinion about the important factors necessary for the purposeful learning attitude of students the study alsoaims to identify the needs of teachers, which contribute them to conduct motivating learning process in Kakheti Region. The research has identified the factors affecting students' goal-oriented learning attitude: teacher's motivation, teacher's self-esteem, modern teaching methods and environmental factors;

Key words: goal-oriented learning attitude, teachers' motivation, teachers' self-esteem

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ირინა ვარდანაშვილს და ასევე ჩემ თანახმელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნინო სხირტლაძეს, რომლებიც მუდმივად ჩართული იყვნენ კვლევისა და ნაშრომის მომზადების პროცესში, მაძლევდნენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით შევძელი გადამელახა ყველა ის გამოწვევა, რომელიც ნაშრომის მომზადების პროცესს ახლდა თან. მათი დახმარების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს. მათი ჩართულობის გარეშე ვერ შევძლებდი სათანადო მონაცემების მოგროვებას ჩემი კვლევისთვის.